



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის**

**ო კ მ ი N15**

ქ. მარნეული

18.08.2017 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**საკრებულოს წევრები:** - ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, კოტე ბოჭორძე, ირაკლი ბურნაძე, რიჩარდ გიგანი, აზიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, აიდა ხაჩიკიანი, არსენ ახვერდიანი, მამედ მამედოვი, მაილ მიქიევი, გივი ქველაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, სადრადინ ტალიბოვი, რაფიკ მუსაევი, ქამილ ალიევი, ისმაილ ბაირამოვი, რამიზ გიულმამედოვი, ლევონ აკოპიანი, ჯომგუნ ზეინალოვი, რაგიმ ასკეროვი, რუსტამ ფაშაევი, სულეიმან ხალილოვი .

**არ ესწრებოდა:**

- ვანო ბურნაძე, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, მახირ იუსუბოვი, ელხან მუფტიევი, რაფიკ ჯაფაროვი, აგილ ფაშაევი.

**სხდომას ესწრებოდა**

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია, ა.ა.ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს დირექტორი ზაურ კარიმოვი, „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“-ს პროექტის დირექტორი შოთა მალლაკელიძე, და პროექტის მენეჯერი თამარ გოგიჩაშვილი.

**პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები:**

ქვემო ქართლის ტელევიზიის და „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალები“-ს თავმჯდომარის განცხადების (რეგ.N253/05. 15.08.2017წ) განხილვის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 18 აგვისტოს N03/10039 წერილის განხილვის შესახებ

## განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეთიკისა და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ვალი ისმაილოვმა საკრებულოს წევრებს გააცნო ფრაქცია „ნაციონალები“-ს 2017 წლის 15 აგვისტოს N1 ოქმი და განცხადება (რეგ. 253/05. 15.08.2017 წ) მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალები“-ს რეგისტრაციის და ფრაქციის თავმჯდომარედ რაფიკ ჯაფაროვის არჩევის შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N71. 18.08.2017 წ)

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა, ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 იანვრის N1 დადგენილებაში შესატანი ცვლილებების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N28. 18.08.2017 წ)

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 18 აგვისტოს N03/10039 წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვენ დამტკიცდეს შ.პ.ს. „მარნეულის სოფწყალი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა, საშტატო განრიგი და თანამდებობრივი სარგოები, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N70. 18.08.2017 წ)

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეთხუთმეტე რიგგარეშე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი